№ 238 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, ოქტომბრის 21 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწ. თეატრი.

21 ოქტომბერს

## მანონი

22 ოქტომბერს 1920 წ.

მეორე ბალეტის საღამო მიხეილ მორდკინისა.

24 ოქტომბერს ოპერა მუშებისათვის

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

24 ოქტომბერს ჰოფმანის ზღაპრები.

დასაწყისი სრულ 7½ საათზე საღამოს.

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

942 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

სეზონი 1920—1921 წლისა

ხუთშაბათს, ოქტომბრის 21-ს,

## სიცრუე

ვინნიჩენკოსი.

დასაწყისი საღ. 7½ საათზე. რეჟისორი მ. ქორელი.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ანონსი: შაბათს, ოქტომბრის 23-ს, „ოიდიპოს მეფე“ | კვირას, ოქტომბრის 24-ს, საღამოთი, წარმოდგენა მუშებისათვის „გ უ შ ი ნ დ ე ლ ნ ი“

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

936 2—1

## სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. 4 ნოემბერს დილის 12 საათზე მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით ხელმეორეთ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტფილისის გარნიზონისთვის, ერთი წლის ვადით ხორცის დ ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში, ბარიათინის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

954 3—1

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

თანახმად საბჭოს სარეკომენდაციო კომისის დადგენილებისა (18 ოქტ. 1920 წ.)

## ამით აცხადებს,

რომ ქალაქში თავისუფალია მომრიგებელ მოსამართლეთა ხუთი ადგილი. ვისაც სურს ამ თანამდებობის დაკავება და ამის უფლება აქვთ, თანახმათ მომრიგებელ მოსამართლეთა იუსტიციის არსებულ კანონისა, (იხ. № 58, საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წ.) უნდა შემოიტანონ თხოვნა გამგეობაში.

957 1—1

## საალმშენებლო კომისია აცხადებს

შეჯიბრებას მუზეუმის ახალ შენობაში უტერმარკის სისტემის 26 ღუმელის (ფეჩის) მოწყობის შესახებ.

ყოველგვარი მასალა მოიჯარადრის უნდა იყოს. შეჯიბრება მოხდება ოქტომბრის 21-ს დილის 10 საათზე კომისიის კანცელარიაში ლორის-მელიქოვის ქ. № 10.

956 1—1

ბათომის ქალაქის თვითმართველობა

## სამსახურში იწვევს სამს უბნის მომრიგებელ მოსამართლეს

თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე. მოსამართლეები არჩეულნი იქნებიან საბჭოს მიერ.

955 3—1

ქალაქ გორის გასაშენებლად თავისუფალ კერძო მიწების ჩამორთმევის შერეულ კომისიისაგან

## განცხადება

ციხის უბნელებისადმი.

ქალაქ გორის გასაშენებლად თავისუფალ კერძო მიწების ჩამორთმევის დეკრეტის მეხუთე მუხლის თანახმად ციხის რაიონის ადგილები უნდა გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას საკუთრებად.

იმავე დეკრეტის მეექვსე მუხლის ძალით, ციხის რაიონის ადგილების პატრონებს, თუ მათ ქალაქ გორში სხვა დასასახლებელი ადგილი ან სახლი არ მოეპოებათ, მიეცემათ ქალაქის სამოსახლო ნაწილში თითო ნაკვეთი მიწა (400 კ. საჟენამდის). აღნიშნულ ნაკვეთების დარიგება მოხდება ამა წლის ღვინობისთვის 25. ვისაც სურს მიწის ნაკვეთის მიღება და ეხლავე სახლის აშენება უნდა გამოცხადდეს ქალაქის თვითმართველობაში ღვინობისთვის 22-დე სათანადო საბუთებით, რომლებიც კი მას მოეპოება თვით ჭამულის შესახებ.

ვინც აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება და არ წარმოადგენს საბუთებს, შერეული კომისია იმოქმედებს მათ შესახებ თავის შეხედულებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში. მისამართი: ქ. გორი, ქალაქის თვითმართველობის ბინა.

13 ღვინობისთვე 1920 წ.

შერეული კომისია.

3190 3—3

## ოფიციალური განყოფილება.

### განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

14 ოქტომბერი, 1920 წ., № 284.

**დანიშნულ იქმნას:** ოზურგეთის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწეთ კაპიტონ საყვარელის ძე ასათიანი ამა წლის 16 ოქტომბრიდან.

№ 290.

**დანიშნულ იქმნას:** აქციზის ინსპექტორად ტფილისის საბაჟოსთან რაჭის მაზრის გადასახადთა ინსპექტორი იოსებ ჯავახის ძე მდივნიშვილი ამა წლის ნოემბრის 1-დან.

№ 291.

**დათხოვნილ იქმნას:** სრულიად სამსახურიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის ბუხჰალტერი სიმონ დავითის ძე ბეჟანიშვილი ამა წლის ივლისის 17-დან.

15 ოქტომბერი 1920 წ. № 292.

**დანიშნულ იქმნას:** საბაჟო ნაწილის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებლათ ამავე ნაწილის უფროსის თანაშემწე ალექსანდრე მანუჩარის ძე მიქაძე, საბაჟო ნაწილის უფროსის ბორჩალოს მაზრაში გამგზავრების გამო, ამა წლის ოქტომბრის 15-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

**ხ. ავალიანი.**

—

**მანგლისის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.**

№ 18.

მანგლისის სამომრიგებლო უბნის კანცელარიის გადამწერი ელისაბედ არონიშიძისა და ამავე კანცელარის მანქანაზე გადამწერი მერი კალამქაროვისა, თანახმად თავიანთი თხოვნისა, დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან: პირველი 8-დან, ხოლო მეორე 30 სექტემბრიდან ამა წლისა.

№ 19.

სასამართლოს შიკრიკი ალექსი ილიას ძე შევჩენკო ჩარიცხულ იქმნეს ამავე სასამართლოს გადამწერის თავისუფალ ადგილზე ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.

№ 20.

დ. მანგლისის მოქალაქე ბარბარე ზაქარიას ასული ბეჟანაშვილისა, თანახმად თავისი თხოვნისა ჩარიცხულ არის მანგლისის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს მანქანაზე გადამწერად.

№ 21.

ამა წლის 5 ოქტომბრიდან დ. მანგლისისავე მოქალაქე გიორგი ივანეს ძე მინდორაშვილი ამა წლის ოქტომბრის 7-დან მიღებული არის სასამართლოს შიკრაკად.

მომრიგებელი მოსამართლე **გლ. რატიშვილი.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

### დროებითი წესდება

**საქონლის ნედლი მასალის გადატან-გადმოტანისა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზედ და მისი გაზიდვა-შემოზიდვისა საზღვარ-გარეთიდან.**

1. საქონლის ნედლ მასალას, რომელსაც ეხება ეს წესდება, შეადგენენ: მოუქნელი ტყავი, ბალანი, ჯაგარი, მატყლი, გადაუდნობელი ქონი, ხორცი, ნაწლევები, ჩლიქები, რქა და ძვლები; რძე, კარაქი, ერბო, ხაჭო და სხვა, გადამდნარი ქონი არ ექვემდებარება ამ წესდებას, მათი გადატან-გადმოტანა ხდება თავისუფლად.

2. ზემოდ ჩამოთვლილი საქონლის ნედლი მასალის გადატანა შეიძლება: ა) ადგილობრივი თემის მოწმობით იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც ეს მასალა შეძენილია, არ არსებობს საქონლის გადამდები სენი, ბ) სათანადოთ შეკრულ-ჩალაგებული.

3. საქონლის ნედლი მასალის მეპატრონენი, რომელთაც მიაქვთ მასალა სავაჭრო ადგილებში, ან ბაზარზედ, მოვალენი არიან იქონიონ მე-2-ე §-ში ნახსენები მოწმობა.

4. საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტის მეპატრონენი, რომელთაც შეიძინეს ეს მასალა სავაჭრო ადგილებში და ბაზრებზედ, ან და გამოიტანეს საწყობებიდან გადასაგზავნად, მოვალენი არიან აიღონ ექიმ-ვეტერინარიდან მოწმობა იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც მასალა შეძენილია, არ არსებობს საქონლის ავადმყოფობა და რომ ეს მასალა, სათანადოდ შეკრულ-ჩალაგებული, კეთილსაიმედოა.

5. სავაჭრო ადგილებში და ბაზრებზედ შეძენილი საქონლის ნედლი მასალის გადაგზავნა საქართველოს ტერიტორიის სხვა ადგილებში შეიძლება დაკანონებული შარა და რკინის გზებით.

6. საქონლის ნედლი მასალის გაგზავნა საზღვარ-გარეთ შეიძლება რკინის გზით და ზღვით.

7. ვაგონების და გემების საქონლის ნედლი მასალებით დატვირთვის დროს მეპატრონენი მოვალენი არიან წარუდგინონ ადგილობრივ პუნქტის ექიმ-ვეტერინარს ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო სათანადო საბუთების ბარათები; შემდეგ ეს ბარათები გადაეცემა რკინის გზის ან ზღვის სადგურის სამმართველოს გადასაგზავნათ სხვა საბუთებთან ერთად იმ ადგილს, სადაც ნედლი მასალა იგზავნება.

8. იმ ადგილებიდგან, სადაც არსებობს საქონლის გადამდები ავადმყოფობა, ნედლი მასალის გადატანა აკრძალულია სენის მოსპობამდის.

9. გადაგზავნა შეიძლება მხოლოდ გამომშრალი მოუქნელი ტყავების, ძვლების, ჩლიქების და რქებისა; ძვლები, ჩლიქები და რქები უნდა იყოს გასუფთავებული ხორცის და ძარღვების ნაწილებისაგან.

10. ხორცის და შიგნეულობის გადაგზავნა საყასპოდგან დუქნებში, საწყობებში, რკინის გზის და ზღვის სადგურებში, მახლობელ სოფლებში და ქალაქებში შეიძლება შიგნიდგან ცინკ-აკრული ფურგუნებით, დაფარებული ზევიდგან სუფთა ტილოთი ან ბრეზენტით; თუ შორს იგზავნება ყუთები უნდა შეიკრას ჰილობში. გადამუდნობელი ქონი გადიგზავნება შიგნიდგან ცინკ-აკრული კალათებით, ბოჭკებით და ყუთებით.

ნაწლევები გადიგზავნება გამომშრალი, დამუშავებული, დამარილებული შიგნიდგან ცინკ-აკრული ბოჭკებით ან ყუთებით, ტილოში ან ჰილობში შეკრულნი.

მოუქნელი ტყავები გადიგზავნება ერთად შეკრული ბალნით გარეთ და ზევიდგან დაფარებული ბრეზენტით, ჰილობით. ბალანი, ჯაგარი და მატყლი გადიგზავნება შეკრული ტილოს ტომრებში. ძვლები, რქები და ჩლიქები—მაგარი ყუთებით და ბოჩკებით.

11. ის პირნი, რომელნიც აგზავნიან საქონლის ნედლ მასალებს, მოვალენი არიან, პირველსავე სავეტერინარო პუნქტის ექიმ-ვეტერინარს წარუდგინონ საბუთები იმის შესახებ, რომ მასალები კეთილსაიმედოა, და აგრეთვე თვით მასალები—შესამოწმებლად, რომ სათანადოდ შეკრულ ჩალაგებულია; შემდეგ, მგზავრობაში, მასალები საბუთებით უნდა წარუდგინონ ვეტერინარ სანიტარულ ზედამხედველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზედამხედველობა ამას მოითხოვს, რაც აღინიშნება საბუთის ბარათებზედ ზედ წარწერით.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ნედლი მასალების ტრანსპორტის ექიმ ვეტერინარის მიერ გასინჯვის დროს მეპატრონეთ არ აღმოაჩნდებათ კეთილ საიმედობის მოწმობა იმ ადგილების შესახებ, სადაც მასალები შეძენილია, ან თუ მასალების რაოდენობა არ შეეფერება მოწმობებში ნაჩვენებ რიცხვს, ტრანსპორტის უკანასკნელ დანიშნულ ადგილს უნდა მოხდეს მასალების დეზინფექცია მეპატრონეთა ხარჯით ექიმ-ვეტერინარის მეთვალყურეობით.

თუ ასეთივე შემთხვევა შემჩნეულ იქნა გზაში ადმინისტრაციის მოხელეების მხრივ, ესენი ნასკნელნი მოვალენი არიან დაუყონებლივ აცნობონ იმ ადგილის ადმინისტრაციას, სადაც ტრანსპორტი იგზავნება, რომ მასალა კეთილ საიმედობის მხრივ საეჭვოა.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ნედლ მასალაზე გზაში, ან მისალებ ადგილს, ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობა აღმოაჩენს საეჭვო ნიშნებს გადამდებ ავადმყოფობასა ჯილეხისას (сибир. язва) ჭირნისას (эмфиз. корб.) იამანისას, (злокач. отек.) სეპტიცემიის ს, ქოთაოსას (сапа), ცხვრის ყვავილისას, აგრეთვე ხორცზე ნიშნებს გახრწნის ს, მასალები და ხორცი დაუყონებლივ მოისპობა, რის შესახებაც ექიმი-ვეტერინარი ადგენს ოქმს ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლის და ორი რწმუნებულის თანადასწრებით.

**შენიშვნა:** ტრანსპორტის მეპატრონეს, რომელიც არ დასთანხმდება მასალის და ხორცის მოსპობაზე, ნება ეძლევა სთხოვოს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას, რომ მან მიანდოს სხვა ექიმ ვეტერინარს მეორედ გასინჯვა შემოწმება, მეორედ გასინჯვამდის კი მასალები უნდა ინახებოდეს მეპატრონეთა ხარჯით დაქირავებული მცველებით განსაკუთრებულ ადგილს.

14. გაგზავნა საქონლის ნედლი მასალებისა მოწმობების და სხვა საბუთების ბარათების ასლებით აკრძალულია.

15. საბუთების ბარათები მიეცემა საქონლის ნედლი მასალების წასაღებად:

ა) განსაკუთრებულ ბლანკებზე, რასაც აწვდის ვეტერინარ სანიტარული განყოფილება ექიმ ვეტერინარებს და თემების გამგეობებს; ბ) საბუთების ბარათებში სისწორით და გარკვევით აღინიშნება მასალების შეძენის ადგილებისა, მასალების რაოდენობისა, საბუთების მიცემის ადგილისა, ჩალაგების წესისა, გზისა, სავეტერინარო პუნქტებისა და უკანასკნელ მისალებ ადგილისა.

16. საქონლის ნედლი მასალების გზაში განაწილება და ხელმეორედ შეკვრა-ჩაბარება უნდა მოხდეს ექიმ-ვეტერინარის ზედამხედველობით, რაც უნდა აღინიშნოს მოწმობაში.

17. საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტის გზაში შეჩერება, საქონლის დასვენება, მისი გამოკვება, ან და ღამის გასათევად დატოვება, დასაშვებია მხოლოდ სოფელ გარედ ან სოფელში განსაკუთრებულ ადგილს, რომელსაც ადგილობრივი საქონელი არა ჰხვდება.

18. საქონლის ნედლი მასალების ტრანსპორტი საბუთების ბარათებით უკანასკნელ დანიშნულ ადგილს მიტანისთანავე წარედგინება ადგილობრივ ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობას, რის შემდეგ მეპატრონეთ ნება ეძლევათ მასალების, როგორც ბაზარზე გაყიდვისა, აგრეთვე საწყობებში შენახვისა, ან და ქარხანაში მიტანისა დასამუშავებლად.

19. ადგილობრივ თემის გამგეობანი და ადმინისტრაციის მოხელენი მოვალენი არიან თვალყური ადევნონ გზად გატარებულ საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტს რესპუბლიკაში არსებულ წესდების სათანადო დასაცავად.

20. საქონლის ნედლი მასალის ტრანსპორტის ნაწილობრივ გაყიდვა გზაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარის ნებართვით და ზედამხედველობით.

21. უცხო სახელმწიფოებიდან საქონლის ნედლი მასალის შემოტანა საქართველოში შეიძლება მხოლოდ დაკანონებული გზით და ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის მოწმობებით. მეზობელ სახელმწიფოებიდან კი გარდა ამისა საჭიროა საქართველოს ელჩისაგან მოწმობა იმ ადგილების კეთილსაიმედოების შესახებ, საიდანაც ნედლი მასალა წამოღებულია.

22. გამოუქნელ ტყავების, მატყლის, რქების, ჩლიქების და ნაწილების შემოტანა ოსმალეთიდან, სომხეთიდან, ადერბეიჯანიდან და რუსეთიდან მხოლოდ გამომშრალი შეიძლება: ხორცის შემოტანა კი აკრძალულია; ნახსენებ ნედლ მასალას ექიმ ვეტერინარი სინჯავს საზღვარზე საბაჟო პუნქტზე.

23. საქონლის ნედლი მასალის შემოტანა საქართველოში უმოწმობებოთ აკრძალულია.

24. იმ შემთხვევაში, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებში საქონელზე არსებობს ჭირი არა უშორეს 50 ვერსისა ჩვენი საზღვრებიდან, შემოტანა ნედლი მასალისა ამ სახელმწიფოებიდან ჭირის მოსპობამდის აკრძალულია.

25. მეზობელ სახელმწიფოებიდან სათანადო საბუთებით შემოტანილ საქონლის ნედლი მასალის მეპატრონეთ სანაპირო პუნქტის ექიმი-ვეტერინარი გასინჯვისთანავე აძლევს მოწმობას მასალის საქართველოში გასაგზავნათ.

26. სანაპირო სადარაჯოები და საბაჟოს სამმართველოს მოხელენი მოვალენი არიან დაუყონებლივ აცნობონ სანაპირო პუნქტის ექიმ ვეტერინარს საზღვარზე მიტანილ საქართველოში შემოსატანად საქონლის ნედლი მასალის შესახებ და აღმოუჩინონ ექიმ-ვეტერინარს დახმარება ამ მასალების შემოწმების დროს.

ყველა საბაჟო სამმართველოსთან ექიმ-ვეტერინარს უნდა დაეთმოს ერთი ოთახი მოწყობილობით საოპერაციოთ და ერთი ოთახიც ტრანსპორტის მეპატრონეთათვის; ოთახები უნდა იყოს ნათელი; გათბობა, განათება და დასუფთავება ოთახებისა უნდა ხდებოდეს საბაჟოს ხარჯით.

27. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ნედლ მასალას შემოიტანენ საქართველოში არა დაკანონებულ გზით, პირველ მოსაზღვრე თემის ადმინისტრაცია დააკავებს მასალას და დაუყონებლივ აცნობებს ადგილობრივ სანაპირო პუნქტის ექიმ-ვეტერინარს და საბაჟოს სამმართველოს. ამასთანავე თემის ადმინისტრაცია მოვალეა აღმოუჩინოს ექიმ-ვეტერინარს დახმარება ამ წესდებაში ნაჩვენებ საჭირო ზომების გასატარებლად.

განყოფილების გამგის თანამდებობის აღმასრულებელი **დ. ახმეტელი.**

# გენერალური შტაბისაგან.

გენერალური შტაბი აცხადებს, რომ თანახმად 1919 წლის 31 ივლისის შეიარაღებულ ძალთა და სამხედრო ბეგრის კანონისა, 1900 წელში დაბადებულთა მორიგი გაწვევა ჯარში დაიწყება ამა წლის 15 ნოემბერს.

რესპუბლიკის ყველა 1900 წელში დაბადებული მოქალაქენი, გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ამ ჟამად უკვე მსახურობენ ჯარში და აგრეთვე მათზე უფროსებიც, რომლებსაც შარშან ვადა გაუდიდდა, ვალდებული არიან გამოცხადდენ იმ მაზრის სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაში, სადაც ისინი შეტანილი არიან გამწვევ სიებში.

აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ის სამხედრო ვალდებულნიც, რომლებიც მიზეზების გამო არ არიან შეტანილნი გამწვევის სიებში.

გამოცხადების დღე იქნება გამოქვეყნებული თავის დროზე სამაზრო ერობათა და ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

ნებადართულია გამოცხადება უახლოეს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაშიც, დროებით საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, მაგრამ, ამ შემთხვევაში ახალ გაწვეულმა არა უგვიანეს 1 ნოემბრისა უნდა წარუდგინოს იმ სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს, სადაც მას სურს გამოცხადება: 1) ამონაწერი თავის თავზე გამწვევ სიიდან და 2) პირადობის მოწმობა სურათით.

# უცხოეთი

(საინფ. ბიურ. ცნობა.)

**ცხოვრება რუსეთში.**

პეტროგრადიდან ჩამოსულმა ამერიკელმა ჟურნალისტმა კინგმა განაცხადა: პეტროგრადსა და მოსკოვში საცხოვრებლად დღეში საჭიროა არა ნაკლებ 10.000 მანეთისაო. კინგი იუწყება: საბჭოთა რუსეთში საბოლოოდ შეწყვეტილია ნორმალური მიმოსვლა; მატარებლები შეძლებისდა გვარად დადისო.

**გუჩკოვის გაწვევა ვრანგელთან.**

ა. ი. გუჩკოვმა ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომელს განუცხა, რომ ვრანგელის მიერ იგი გაწვეულია ყირიმში და რომ ის მზათ არის მიიღოს ყოველგვარი წინადადება, რომელსაც კი მას ვრანგელი გაუკეთებს, რადგანაც რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა ყოველგვარ მსხვერპლს მოითხოვს.

**საბერძნეთის პარლამენტში.**

საბერძნეთის პარლამენტში სულ 369 დეპუტატი უნდა შევიდეს: აქედან 317 ძველი პროვინციებიდან და 52 კი აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრაკიის ახალი ოლქებიდან. დეპუტატთა უმეტესობას იძლევა სალონიკი (32 დეპუტატს).

**სასმელების ნაციონალიზაცია.**

ტრედუნიონების კონგრესზე გააკეთეს დეკლარაცია მაგარი სასმელების ნაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ.

**შრომის ბეგარა.**

გერმანიაში საყოველთაო შრომის ბეგარა შემოაქვთ. ყველა პირი, რომელიც არ შრომობს, ბავშვებსა და მოხუცებს გარდა ვალდებულნი არის სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში იმუშაონ: მამაკაცებმა უნდა იმუშაონ ერთ წელიწადს, ქალებმა კი 6 თვეს.

**საბჭოთა დელეგაციის დამარცხება.**

„ტაიმსი“ იუწყება: საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც 15 წევრი შედიოდა და რომელიც ევროპის ჩრდილოეთ სახელმწიფოებში მოგზაურობდა, საშინლად დამარცხდა ბერლინში. რუსი დელეგატების ტრაფიარეტული გამოსვლების მელითონეთა მრავალ რიცხოვან მიტინგებზე სტვენით შეხვდენ. ლოზოვსკის ვრცელმა სიტყვამ რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მდგომარეობის შესახებ გერმანიის დემოკრატიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი საბოლოოდ დაეცა მას შემდეგ, რაც რუსეთიდან დაბრუნებულმა დრეზდენელმა ანარქისტმა რეხლემ მოხსენება გააკეთა. ამ მოხსენებაში ის ამტკიცებდა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობას დიდი ხნის სიცოცხლის უნარი არა აქვსო

**თანაგრძნობის გამოუცხადებლობა.**

შვედ-მემადაროეთა და შრომის გენერალური ასოციაციის კონგრესმა ხმის დიდი უმრავლესობით უარჰყო რუს-კომუნისტ მუშებისადმი თანაგრძნობის გამოცხადების წინადადება.

**ერთა ლიგის საბჭოს სხდომა.**

შეადგინეს შემდეგი სხდომის პროგრამა: სხდომა უნდა შესდგეს ბრიუსელში გიმანსის თავმჯდომარეობით. „ტანის“ ცნობის თანახმად, განხილულ იქნება პოლონეთ-ლიტვის საკითხი—რომლის შესახებ ორივე მხარე მოხსენებას გააკეთებს. მოსაზღვრე ხაზის საკითხს უკვე იხილავს საგანგებო კომისია. მოისმენენ აგრეთვე ინგლისის პირველ მოხსენებას ალანდიის კუნძულების შესახებ. ერთა ლიგის პირველი სხდომა, რომელიც ვილსონის მიერ მოწვეულია ნოემბრის 15 ჟენევაში, საბჭოთა განხილვის საგანს შეადგენს ნედლი მასალის მონოპოლიის შესახებ საკითხს აღძრავს იტალია, სომხეთის შესახებ მოხსენებას გააკეთებს იტალიის წარმომადგენელი. მოხსენებას გააკეთებენ დანციგისა და სხვა საკითხების შესახებ.

**მდგომარეობა ვილნოში.**

ვილნოში მყოფი სამხედრო და სამოქალაქო მისია კოვნოში გადავიდა. საფრანგეთის ელჩი თავის ადგილზე დარჩა. მიღებული ცნობებით ვილნოში სიწყნარეა.

**ოსმალეთის ახალი კაბინეტი.**

საფრანგეთის პრესა ფიქრობს, რომ ტევფიკ-ფაშას დაავალებენ ახალი კაბინეტის შედგენას, რადგანაც დამად ფერიდის კაბინეტი გადადგომას აპირებსო.

# საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

**ბოლშევიკების ტრაბახი.**

ოქტომბერი სპობს პროლეტარულ გზაზე ყოველგვარ დაბრკოლებას. მოვსპოთ ვრანგელი, შევაგროვოთ პური, შევუდგეთ მუშაობას. მოვიდა ახალი ოქტომბერი, ოქტომბერი გამარჯვებისა ვრანგელზე, შიმშილზე, არევ-დარევაზე—გასწი და გაიმარჯვე. მუშურ-გლეხურ რესპუბლიკისათვის საჭიროა ზავი, მას სჭირია შემოქმედებითი მუშაობა მუშებისა და გლეხებისა. ზარბაზნების გრიალში საბჭოთა რუსეთს არ გაუშვია არც ერთი შესაძლებლობა სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობისა. მთელ ქვეყანაზე სამოქალაქო ომია დღის წესრიგში სდგას მისი დროშა.

ჩვენი წითელი არმია იცავს მშრომელებს ჯალათების თავდასხმისაგან. მუშების, მოხუცებულების და ბავშვების გვამებზე სურს ვრანგელს გაატაროს მემამულეების ბატონობა და მეფის ბიუროკრატია, ზავის მისაღწევად საჭიროა ვრანგელის თეთრ გვარდიელების მოსპობა. ერთსულოვნურ შეტევით ჩვენ უკუვაქცევთ და გავანადგურებთ მტერს. შეასრულეთ 1042 ბრძანება. ამ ბრძნების შესრულება პატიოსან მუშაკის პირველი მოვალეობაა. მუშავ გახსოვდეს სამეურნეო პროგრამა. თუ არ იქნა გაძლიერებული მუშაობა, არ იქნება პური. რევოლიუციამ ყველაფერი დაანგრია, იგი ითხოვს შენგან მუშაობას. საბჭოთა რუსეთის ძლიერი მეურნეობის აღდგენა-შრომის ფრონტის პირველი მიზანია. ოქტომბრის რევოლიუციამ მისცა მუშათა კლასს საშუალება ძლიერ პროფესიონალურ კავშირებში გაერთიანებისა. მეფის რუსეთში კავშირები შეურაცყოფილნი იყვენ, კერენსკის დროს ისინი $1^1/_2$ მილ. მუშას აერთიანებდენ. ოქტომბრის რევოლიუციის მესამე წელზე კი კავშირები 5 მილ. რუს მუშას აერთიანებს.

**სამხედრო ცნობა.**

(რადიო. რუსეთის ჯარის გენერ. შტაბის ოფიციალური ცნობა) გულაი-პოლეს სამხრეთით წითლებმა სოფ. ასეროვკა აიღეს. ჩვენი ჯარი მტერს სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. დანარჩენ ადგილებში ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს. დამატებითი ცნობებით უკანასკნელ დღეებში გულაი-პოლესა და ალექსანდროვსკის რაიონში წითლები თავს იყრიან.

მტერმა შესძლო ხელი შეეშალა შეტევის განვითარებისათვის მე-13 არმიის დამარცხების შემდეგ წითლებმა დაიწყეს ყუბანიდან ცენტრალურ რუსეთიდან და ვოლგის ნაპირებიდან თავის ნაწილების გადმოსროლა ქვანახშირის რაიონებში. ამავე დროს წითლებმა გააძლიერეს მეორე და მე-6 ცხენოსანთა ჯარი და ნიკოპოლის რაიონში შეჯგუფდენ. დამკვრელი რაზმი დნეპრზე გადასვლისთვის ემზადება, რათა ალექსანდროვსკში მყოფ ჯარს ზურგიდან მოუაროს. რუსეთის ჯარის რაზმი, გადვიდა რა მდინარეზე ნიკოპოლის ქვეით ერთდროული შეტევით დაამარცხა ნიკოპოლში მყოფი წითელი ჯარის ნაწილი. წამოიყვანა 3000 ტყვე, ხელთ იგდო 7 ზარბაზანი და მრავალი ტყვიისმფრქვევი, აზოვის ზღვასა და დნეპრს შორის დამარცხდა წითლების მე-4 დივიზია. წამოყვანილია ათასზე მეტი ტყვე ხელთ ვიგდეთ ოცამდე ზარბაზანი. წითლები გავდენეთ ბერდიანსკიდან, ზემო ტოკმანიდან და გულაი-პოლიდან. ოქტომბ. 13 წითლებმა დაიწყეს დნეპრის მარჯვენა ნაპირებზე გადასულ თეთრების შევიწროვება. რადგან წითლებს ბევრი ძალა ყავდათ თეთრები იძულებული შეიქნენ დნეპრზე ისევ უკან გადმოსულიყვნენ. 5 დღის ოპერაციების შემდეგ ხელთ ვიგდეთ 13,500 ტყვე, 27 ზარბახანი, 1 ჯავშნიანი მატარებელი, 6 ჯავშნიანი ავტომობილი.

## ახალი ამბები

◆ **წყალტუბოს აბანო.** მიწად-მოქმედების სააგარაკო კომისიამ ოქტ. 15 ინახულა წყალტუბოს სამკურნალო წყლები, სადაც იგი გაეცნო წყლების მდგომარეობას. წელს აგარაკი ოქტ. 15 ცხრა ათასამდე ავადმყოფმა მოიარა. ყველა ბინა დაკავებული იყო და ზოგიერთ ავადმყოფს აივანზე და ცის ქვეშ ცხოვრება მოუხდა. ერობის მიერ ვანებზე მინიმალური ფასები იყო დაწესებული, სეზონის ბილეთი ღირდა 30 მან. ვანა 15-20 მან. ოთახი დღე და ღამეში 40—60 მ. ეს მაშინ, როდესაც კერძო ბინებში და სასტუმროებში დღე და ღამის განმავლობაში 300 მან. იღებდნენ. ვანების ექსპლოატაციიდან შემოსავალი სეზონის დამლევამდე 1½ მილ. მან. უდრის. ამ ჟამად წყალტუბოში დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ა. ლომთათიძე იმყოფება.

◆ **სატან-ვარჯიშო ინსტიტუტი.** ტფილისში სატან-ვარჯიშო ინსტიტუტი გაიხსნა. ინსტიტუტის დირექტორად ბერელაშვილი დაინიშნა, ინსპექტორად კი ი. ვახეკი. ინსტიტუტის კურსი 8 თვიანია. სწავლა უფასოა. მეცადინოება სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 4½ საათ. 9½ საათამდე. ინსტიტუტი მეორე ვაჟთა გიმნაზიაში არის მოთავსებული.

◆ **შესწორება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებაში, რომელიც ოქტ. 19 იყო გამოქვეყნებული გაზეთების მიერ შეცდომები შეიპარა: გარე-უბნის მილიციის უფროსი დათხოვნილი კი არ არის სამსახურიდან არამედ დროებით არის დათხოვნილი.

◆ **შინ. საქ. მინისტრის მოვალ. აღსრულება** დაეკისრა ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორს ს. დ. ჯაფარიძეს და არა ს. დ. ჯავახიძეს, როგორც ეს გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული კორექტურული შეცდომით.

## განსაკუთრებულ რაზმის მოქმედება.

განსაკუთრებულ რაზმის უფროსმა კედიამ მიიღო ცნობა, რომ მზადდება წინასწარ ლიტოგრაფიული ქვა ყალბი ფულების საბეჭდავი სტამბისათვის, ამ ცნობის შემდეგ წავიდა თანხლებით თანაშემწის ჩიკვაიძისა და სხვა მოხელეთა და აღმოჩენილი იქნა ლიტოგრაფის ქვა, რომელზედაც იყო გადაღებული და ამოჭრილი ას თუმნიანი. გამმზადებელი ქვის, ვინმე შვანე მთელი ორგანიზაციით იქნა დაპატიმრებული და გაგზავნილი საპყრობილეში. საქმე გადაეცა სასამართლოს.

— განსაკუთრებულ რაზმის უფროსის კედიას მიერ დაპატიმრებულ იქმნა ნესტორ ფხაკაძე თვალაძის მკვლელობაზე, რომელშიაც გამოტყდა.

— განსაკუთრებული განკარგულებით დაპატიმრებული იქმნა ნიკოლოზ როტინოვი, იოსებ ფირცხალაშვილი, დავით კვანტალიანი, ხაჩატურიანცი და ვარლამ შენგელია, რომელთაც ბრალდებათ ყალბი ფულების გაკეთება.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმის უფროსის კედიას განკარგულებით დათხოვნილია სამსახურიდან პასუხის გებაში მიცემით ამავე რაზმის თანამშრომლები: გრიგოლ დოლიძე, ექვთიმე კვაშალი და ვასილ ნიქარაძე სამსახურში ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის (ბრალდებათ ქრთამის აღება).

— განსაკუთრებულ რაზმის უფროსის კედიას განკარგულებით დაპატიმრებულ იქმნა ტიგრან ოთაბეგოვი მძარცველობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

— განსაკუთრებული რაზმის უფროსის კედიას მიერ მიღებულ ზომებით აღმოჩენილია ამერიკულ საწყობიდან 950.000 მანეთის საქონლის გაქურდვა, რომელიც ბრალდებათ ბალახანინ პავლეს, ციბულინის პანტელეიმონ, ნოსოვ ალექსანდრეს და ვასილ სლესარევს. საქმე ნივთიერი დამტკიცებული საბუთებით გადაეცა ოლქის სასამართლოს პროკურორს.

— განსაკუთრებული რაზმ ს თანამშრომელი ვლადიმერ დავითის ძე დავითაშვილი გამორიცხულია სამსახურიდან 8 ოქტომბრიდან მაზე მიცემული პირადობის მოწმობა 30 ოქტომბრიდინ 1920 წ. № 3014 უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. ადმინისტრაციის დაწესებულებათი წარმომადგენელთ კი სთხოვენ აღნიშნული დავითაშვილი, სადაც აღმოჩნდება დააპატიმრონ და გადმოუგზავნონ რაზმის უფროსს.

## პურის გასაუმჯობესებლად

ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდისათვის პურის გამოცხობის შესახებ მოხსენება დაამზადა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საბჭოს მიერ მუშათა მაგიდასთან შეთანხმებით მიღებულია ზომები პურის ღირსების ერთ დონეზე შენახვისთვისო. შეკეთებულია საცრები, შეკეთებულია ახალი ფურნები და ქერის ფქვილის 2-ჯერ გაწმენდა არის დაწესებული, მოწვეულია ახლად ჩამოსული სპეციალისტი პურის ცხობაში. საბჭო ყოველივე ზომას იღებს პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. დეფექტებს ჰქონდა ადგილი, მათ ეხლაც აქვთ ადგილი. ამის მიზეზია ბინის სივიწროვე, გამოცდილ და თავის მოვალეობის შეგნებულ თანამშრომელთა ნაკლულოვანება, საერთო მძიმე პირობები, რომელშიაც იმყოფება ამ ჟამად ყოველი წარმოება და ბოლოს ხორბლის ღირსების დაცემა. ყველა ამ დაბრკოლებათა სწრაფი გადალახვა შეუძლებელია. ქალაქის საბჭოს მიერ გამომცხვარ პურის მთავარი ნაკლოვანება არის მისი სისოვლე და სიმძიმე. ამ ჟამად საბჭო იღებს კანადის ფქვილის ნაწილსაც და ამიტომ შესაძლებელი გახდა ოდნავად პურის ღირსების გაუმჯობესება. ამ ჟამად პურის შემადგენლობა ასეთია: 40% ქერისა, 50% პურისა და 10% კანადის ფქვილისა. კანადის ფქვილის სიმცირის გამო არც ამ პროპორციის დაცვა ხდება შესაძლებლად ყოველთვის, ხშირად პური ცხვება მხოლოდ ადგილობრივ ქერიდან და პურის ფქვილიდან. პურის ღირსების გასაუმჯობესებლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორი გამოსავალი: ქერის ფქვილის პროცენტის შემცირება ან პურის სიდიდის შემცირება. პურის სიდიდის შემცირება 3—4 გირვანქამდე გააუმჯობესებდა პურის ღირსებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ფურნეების ნაყოფიერება ორჯერ შემცირდება. არ შეიძლება აგრეთვე ქერის ფქვილის პროცენტის შემცირება. საერთოდ პურის გამოცხობისათვის ძლიერ ძნელი პირობები შეიქმნა. ეს პირობები მით უფრო გაძნელებულია, რომ წისქვილები და ფურნეები არ აღმოჩნდენ ტეხნიკურად მომზადებული შეცვლილ მდგომარეობისათვის. პროფ. კავშირთა საბჭოს მუშათა კომისიამ, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი ასეთი დასკვნა გამოიტანა: „უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა შორის არსებობდა განსაზღვრული აზრი, რომელიც მთელ დანაშაულს რამდენიმე პიროვნებას ახვევდა თავზე. მართლაც დამნაშავენი არიან, მაგრამ უპირველესად ყოვლისა მთავარი დამნაშავე ჩვენი მოუმზადებლობა და ტეხნიკური მოუწყობლობა არის. პირველად ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს შესასყიდ ხორბლის ღირსებას, ყოველ შემთხვევაში პურის ღირსების გასაუმჯობესებლად მიღებულია რიგი ზომებისა: მოხდა ტეხნიკურ ზედამხედველობის გადახალისება, მოეწყო გადატან-გადმოტანა, გასაწმენდი მანქანები შეკეთდა და სხვა.

## ერობა

### გურიის ერობაში.

— ერობის გამგეობა შუამდგომლობს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა შუასურების თემში დაარსდეს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი.

— ერობის გამგეობას განზრახული აქვს მომავალი სეზონიდან მოაწყოს აგარაკ ბახმაროზე სანატორიუმი.

— ამ რამოდენიმე დღის წინად ნატანებ-ოზურგეთის გზაზე გაძარცვეს ავტომობილით მიმავალი მგზავრები; მაზრის მილიციამ მძარცველთაგან ოთხი კაცი უკვე დაატყვევა. ესენი აღმოჩნდენ ქართველი მაჰმადიანები ქობულეთის რაიონიდან: ოსმან ცეცხლაძე, ახმედ თხილი ოღლი, შინდაძე და ჩხეიძე, რომლებიც უკვე გამოტყდნენ თავის დანაშაულში. მიღებულია ენერგიული ზომები დანარჩენების დასაჭერათ.

— ერობის გამგეობამ დაამტკიცა ახალი გადიდებული ნიხრი ნატანებ-ოზურგეთ შუა მგზავრობაზე, რომლის თანახმად ნაცვლად 300-სა დაწესდა 400 მან. თვითეულ მგზავრზე როგორც ავტომობილზე, ისე ეტლში. გამგეობამ 400 მანეთივე დააწესა თვითეულ მგზავრზე ერობის ეტლით ჩოხატაურამდე მგზავრობის ქირათ.

— გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ წინადადებით მიმართა ერობისა და ქალაქის გამგეობებს, რათა მიიღონ ზომები ოზურგეთში შრომის ბირჟის დაარსების შესახებ, თანახმად შრომის ხელშეკრულების კანონისა.

— ერობის გამგეობამ ამ დღეებში მიიღო ასეთი დადგენილება: „იმ მასწავლებლებს, რომლებიც სცხოვრობენ თავისავე სახლში და იმავე თემში, სადაც მასწავლებლობენ, მიეცეს საერობო ხარჯზე მხოლოდ განათება, გათბობა და ბინა კი არა. ტანვარჯიშობის, გალობისა და ხელსაქმის მასწავლებლებს კი არ მიეცეს არც განათება“.

— ჩოხატაურის საერობო გიმნაზიაში ერობამ 1 ოქტომბრიდან დააწესა ხელ-საქმის მასწავლებლის თანამდებობა მთავრობის შტატით განსაზღვრული ჯამაგირით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულების თანახმად, ერობამ ამ დღეებში მიმართა თემებს, რათა სამაზრო ერობისა და თემების საარჩევნო სიები დაუყონებლივ გაამზადონ. თემები უკვე შეუდგნენ ამ ნიადაგზე მუშაობას.

**ხუხეინ.**

## მუნიციპალ. ცხოვრება

### ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობაში.

(უკანასკნელი დადგენილებანი;)

ა. მიენდოს გამგეობას სააღმშენებლო კომისიასთან ერთად გამოარკვიოს ადგილი და ვადა სამჭედურების სხვა უფრო მოხერხებულ ადგილას გადატანის შესახებ და მოსაზრება წარუდგინოს საბჭოს 15 დღის ვადაში. ბ. მიღებულ იქნას ზომა არსებულ ბირჟის სხვა ალაგას გადატანის შესახებ, მანამ კი, მეეტლეების მიერ დაქირავებულ იქნას სპეციალური კაცი, რომელიც დაწყებული სერგო ჩავლეშვილის სავაჭროდან—ვიდრე მეეტლეთა სასადილომდე, პასუხისმგებელი იქნება ქუჩის ჩრდილოეთის ნაწილის სისუფთავის დაცვაში და გ. დაევალოს გამგეობას შემდეგი სხდომისათვის მოხსენება წარმოუდგინოს საბჭოს ქალაქში აბანოს მოწყობის შესახებ.

— ყოველივე სანახაობა-გასართობებისა და წარმოდგენებიდან ქალაქის სასარგებლოთ დაწესდეს მთელი შემოსავლიდან 15%, გამგეობას კი უფლება მიეცა ზოგიერთ შემთხვევაში გადასახადი შეამციროს 5%-დე. ამასთანავე ქალაქის მოურავის გ. მურვანიძის წინადადებით, ქალაქის თეატრის ბინის ქირათ საბჭომ დააწესა: იმ წარმოდგენებიდან, რომლებსაც მიზნათ აქვთ თავის სარგებლობა-5000 მან., ზოგიერთ შემთხვევაში კი გამგეობას უფლება ეძლევა შეუმციროს გადასახადი 5000—2000-დე.

— ყველა გაზიდულ და შემოზიდულ საქონელზე ადგილობრივ მეურმეთა კანტორის საშუალებით, საფუთო გადასახადი საბჭომ გაადიდა და ნაცვლათ 20 კაპ. დააწესა 2 მან. ფუთზე.

— მიღებულ იქნას საჭირო ზომები ბჟუჟის ნაპირების გასამაგრებლათ. მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა მაკვანეთის, ექადიის და ლიხაურის საზოგადოებებმა, ქალაქი კი მიაწვდის ტეხნიკურ ძალას და ტყის მასალას.

— დაწესდეს ხორცზე შემდეგი ნიხრი 1 ხარისხის ხორცი 50 მან. გირ. 2 ხარისხის 45 მან., კამეჩის 40 მან., ცხვრის 55 მან. და ღორის 55 მან.

— ნაცვლათ, ოზურგეთიდან წასული ხმ. პარ. თოთიბაძისა, ქალთა გიმნაზიაში საბჭომ ქალაქიდან წარმომადგენლათ აირჩია ხმ. გრიგორი კოპლატაძე.

— თანახმათ თხოვნისა, საბჭომ დაადგინა ჩარიცხულ იქნას ოზურგეთის მოქალაქეთ ოზურგეთშივე მცხოვრები ტრიფონ ივანეს ძე სიამაშვილი ოჯახობით.

### ფოთის ქალაქის თვითმმართველობაში.

ტრაგიკულად გარდაცვალებულ ხმ. დოდიას ქვრივ-ობლებს, მიეცეს ქალაქის სალაროდან დახმარების სახით ორმოცდა-ათი-ათასი მანეთი გარდაცვალებულის დასაკრძალავად.

ხმ. ი. ნოდიას ნაცვლად მოწვეულ იქნა შემდეგი მორიგი კანდიდატი 1 ნომრის სიიდან ვ. ი. ჯაიანი.

— თანახმად გამგეობის წევრის ლ. კ. დავითაიას განცხადებისა შეფასებითი გადასახადის შემოტანის უკანასკნელი ვადათ დაინიშნოს 15 ოქტომბერი.

— ქალაქის თავს დაენიშნოს თვიური ჯამაგირი, ა. წ. 1 ოქტომბრიდან, 25.000 მანეთი, ხოლო გამგეობის წევრებს და საბჭოს მდივანს (იგივე გამგეობის მდივანი)—20,000 მანეთი თითოს.

— თვითმმართველობის ამორჩეულ თანამდებობის პირთათვის და სხვა სპეციალისტებისთვის, როგორიც არიან ინჟინერები, ექიმები და სხ. დღიურად დაწესდეს 1200 მან. და სამგზავროდ მატარებლის პირველ კლასის ბილეთის ფასი, ხოლო დანარჩენ დაქირავებულ მოსამსახურეთათვის—1000 მანეთი და მეორე კლასის ბილეთის ფასი.

— მუშათა სახლის ასაშენებლად ნავთსადგურში გადაიდვას დახმარების სახით 500,000 მანეთი. ეს თანხა გაღებულ იქნა იმ საფუთო გადასახადის შემოსავლიდან, რომელიც დაწესებულია ფოთის ნავთსადგურით შემოტანილ-გატანილ საქონლისათვის და რომლის ნახევარი უნდა მოხმარდეს ნავთსადგურის გაუმჯობესებას.

— ღარიბ და უპატრონო ავათმყოფთა საექიმოთ გაეხსნას გამგეობას ორასი ათასი მანეთიანი კრედიტი.

— ადგილობრივი სახელოსნო სკოლისთვის გაღებულ იქნას ყოველ თვიურად, 16,740 მანეთი დახმარების სახით და ამასთანავე დაევალოს გამგეობას აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ამ სკოლის გარდაქმნის შესახებ საშუალო ტიპის სასწავლებლად ვინაიდან ჩვენის რესპუბლიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა დარგში სპეციალისტების გამრავლებას.

## ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება.

### სახელმწიფო ბანკში.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგემ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ორშაბათს, ოქტ. 18, ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილება გაიხსნა“.

ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნის გამო სახელმწიფო ბანკის გამგემ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: „ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნის გამო ბათომის ბანკების კომიტეტის სახელით გულწრფელ სალამს გიგზავნით. გილოცავთ აგრეთვე ამიერ-კავკასიის ბანკის სახელით და მიმდინარე ანგარიშზე 30 მილ. მან. შემაქვს. კომიტეტის თავმჯდომარე ლლონტი“.

### ცენტრობანკი კონსტანტინოპოლში.

ცენტრობანკის გამგეობა იუწყება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნებართვით კონსტანტინოპოლში საქართველოს ცენტრობანკის განყოფილება გაიხსნა: განყოფილება მოთავსებულია გალატში, რუმინეთის ბანკას გვერდით. ეს საქართველოს პირველი ბანკია, რომელმაც ევროპაში გახსნა თავის განყოფილება და რომელმაც უცხოეთის ბანკების ოპერაციების წარმოება დაიწყო. მოკლე ხანში ცენტრობანკის აგენტურები გაიხსნება ვარნაში, კონსტანცაში, ტორენტოში და მარსელში. ამასთანავე ბანკის განყოფილებანი იხსნება: ლონდონში, პარიზში და ბერლინში. ბანკის მთავარი გამგეობა და მისი განყოფილება ბათომში ოქტ. 18-დან ყოველგვარ ვალიუტით გზავნის ფულს კონსტანტინოპოლში.

### ბაზრის ფასები.

ოქტომბრის 19 სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობით ბაზარზე შემდეგი ცნობები არსებობს: ხორცი—80—90 მან. გირვანქა, ცხვრის ხორცი გირვ.—110 მან., ქათამი—500 მან., ინდოური—700 მან., ბატი—600 მან., იხვი—260 მან., ხიზილალა გირვანქა—1200 მან., ცოცხალი თევზი—280 მან., კარაქი—450 მან., სამარხო ერბო—400 მან., ყველი—230—280 მან., თეთრი ფქვილი—5600 მან. ფუთი, ადგილობრივი ფუთი—3200 მან., სიმინდის ფქვილი—1800 მან., პური—2500 სან., ადგილობრივი—2400 მან., სიმინდი—900 მან., წითელი ლობიო—1200 მან. თეთრი—1300 მან., სპარსული ბრინჯი—9500 მან., ჩინური ჩაი გირვანქა—700 მ., ცეილონის—550 მან., თაფლი—280 მან., ყავა—550 მან., ხახვი—30 მან. გირვანქა, კომბოსტო—400 მან., ნიგოზი ფუთი—2000 მან., წვრილი თხილი—900 მან.

## გამომცემლობა

### სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები.

საკუთარ წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პროსპ., სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ, იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული შემდეგი სახელმძღვანელო წიგნები: 1) დედა ენა 1 ნაწ., 2) დედა ენა 2 ნაწ., 3) ახალი ისტორია რუსული ისტორიის დართვით, გიმნაზიის 6 კლასის კურსი, გველესიანისა და დ. უზნაძის., 4) რომის ისტორია, გიმნაზიის 5 კლასის კურსი პროფ. დ. უზნაძის, 5) რუსული ენის გრამატიკა პროფ. გ. ახვლედიანის, 6)

ქართველი მწერლები 1 ნაწ. ივ. გომელაურის, 7) ქართველი მწერლები 2 ნაწ. ი. გომელაურ., 8) არითმეტიკის სახელმძღვანელო ი. ავალიშვილი, 9) არითმეტიკის სახელმძღვანელო ე. ხრამელაშვილის, 10) არითმეტიკული ამოცანათა კრებული 1 ნაწ. მისივე, 11) იგივე 2 ნაწ., 12) ფიზიკა კოსონოგოვის, ხუციშვილის მიერ ნათარგმნი, 13) ბუნების მეტყველობის მოკლე სახელმძღვანელო ს. იაშვილისა, 14) საზოგადო გეოგრაფია (აზია, აფრიკა, ავსტრალია) მისივე, 15) 19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია პროფ. ალ. ხახანაშვილის, 16) ქართული სიტყვიერების გაკვეთილები ვ ბარნოვის, 17) Русское Слово 1 ნაწ. ი. გოგებაშვილის, 18) Русское Слово 2 ნაწ. მისივე.

# ხელოვნება

### ქართული დრამა.

— დღეს, სახელმწიფო დრამის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება ცნობილი უკრაინული მწერალის ვინნიჩენკოს პიესა „სიცრუე“. დრამა 3 მოქმედებათ; უმთავრეს როლებს ასრულებენ ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი და მ. ჭიაურელი. პიესას სდგამს რეჟ. ქორელი.

— შაბათს შესდგება გენერალური რეპეტიცია დავით კლდიაშვილის პიესების „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“ ახალი მიზანსცენებით და ახალი დეკორაციებით. დეკორაციებს ხატავს მხატვარი ვალ. ერისთავი.

# ფოსტა-ტელეგრაფში

### ხის ჩაუბარებელი დეპეშების 18 ოქტომბერს.

1) დედოფლის წყაროდან—არგუტინსკის; 2) ქუთაისიდან—კინწურაიშვილს; 3) სანაინიდან—შონიევს; 4) ფოთიდან—გეგიაძეს; 5) ბათომიდან—ბარგუშევიჩს; 6) წესიდან—ჭიჭინაძეს; 7) სოხუმიდან—ვოლკოვისას; 8) ალექსანდროპოლიდან—ხაზგარიანს; 9) კიწი სოსელიას; 10) ონიდან—ზოსიაშვილს; 11) ქუთაისიდან—კუკურიძეს; 12) კიწი—ჩაჩიბაიას; 13) ონიდან—ნავლაძეს; 14) ბათომიდან—ბორგუსევიჩს; 15) ოჩეჩირედან—სულიაროვს

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წ. ოქტომბრის 22 დღეს, სხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 11 საათზე).

1. არშაკ ნადიროვის საზოგად. „გამოლედ“-თან 29,500 მ. თაობაზე.

2. ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის გერასიმე გასპაროვთა, არშაკ დანელიანთან და მარიამ მანველოვთან საჯარო ვაჭრობის გაბათილების შესახებ.

3. გარდაცვალებულ მაშადი გულამ ოღლის შარიფოვის ობლების და მოურავის რეჟიმ ოღლიევთან ანგარიშის თაობაზე.

4. ივანე კარაჯევის მარიამ კარაჯევთან 12000 მან. თაობაზე.

5. მასიკო ცინცაძის მაქსიმე ქლენტთან და გიორგი ჩხარტიშვილთან ფულების თაობაზე.

6. გრიგოლ არაბიძის გრიგოლ ჰედლიძესთან ფულების თაობაზე.

7. საბა წირღვავასი და ანდრი თოდუასი ლაგვილავებთან, ჯინჯილავებთან, არაჰამიებთან და სხვ. ადგილის თაობაზე.

8. ბენიამინ ნემოვის რეზინის მანუფაქტურულ რუსული ამერიკულ საზოგად. „ტრეუგოლნიკ“-თან ფულების თაობაზე.

9. ნესტორ ქვარიანის მიხეილ. სადგილ-მამულო ბანკის ქუთაისში, მამულის დაცვის თაობაზე.

# წერილი რედაქ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოების საყურადღებოთ გამოაცხადოთ შემდეგი: ერთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც მე საქართველოს კომუნისტურ პარტიის გურიის ორგანიზაციებში არ ვმუშაობ და არც ამ ჟამათ მათთან არავითარი კავშირი არც იდეიური და არც ორგანიზაციული არა მაქვს, რასაც ვაცხადებ ჩემს გარშემო შექმნილ გაუგებრობის გასაფანტავად.

შალვა ჩიტაიშვილი.

# განცხადებანი

დაიკარგა საბინაო დავთარი ჭავჭავაძის ქუჩ. № 31 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ელისაბედ და ნიკოლოზ არჩუაძეებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3213 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და გვარდიის წიგნაკი ალექსანდრე ივანეს ძე გიგუაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3218 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 2304 პლატონ ივანეს ძე ჩახნაშვილის სახელზე, მიღებული თელავის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პირადობის მოწმობა და მეტრიკა გაუქმებულად ჩაითვალოს. 3214 3—2

დაიკარგა პასპორტი სირაჯუტინ გაჯის ძე ამინტაევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1908 წ. და სხვა საჭირო საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 3219 3—2

დაიკარგა მამულის განაჩენები შიო გიგაშვილის და ძმათა გიგაშვილების სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3224 3—2

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 1094 ილია მიხეილის ძე ზდანევიჩის სახელზე, მიღებული ტფ. 1 ვაჟთა გიმნაზიიდან 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3230 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ანტონოვის ქ. მდებარე სახლის ვან. ı მიხეილის ძე გულუაშვილის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3228 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 215 ფადეი სტეფანის ძე ოგაჯანოვის სახელზე, მიღებული პეტროგრადში მე-2 უბანში 1899 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3229 3—2

დაიკარგა აკაკი მინას ძე ცქიტიშვილის სახელზე: პირადობის მოწმობები № № 2145, 6536 მიღებული შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობისაგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 298, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულოსაგან, პირობები კვიტანციები, ამონაწერები და ნარკვევები სხვა და სხვა საქმის შესახებ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 952 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 4172 დავით ბესარიონის ძე ცხადაძის სახელობაზე, მიღებული სინოდალურ კანტორიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3221 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვართან გალუსტის ძე მელქუმოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3227 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა პადვაკან ტერ-მიხაილოვის სახელზე, მიღებული ლტოლვილთა კომიტეტიდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3225 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ხარფუხის ქ. № 11 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მაშადი ალა ასკარ ოღლის. გაუქმებულად ჩაითვლება. 3200 3—2

დაიკარგა მოწმობა № 521, იცკა ისრაელის ძე დავიდოვიჩის სახელზე, მიღებული ტფილ. მილიციის უფროსის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 3194 3—2

დაიკარგა მოწმობა № 106, ბორის ივანეს ძე ტატიევის სახელზე, მიღებული საქართველოს წარმომადგენელისგან ქ. სევასტოპოლში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება, 3195 3—2

დაიკარგა პასპორტი გალია ბოგდანის ასული ბუდახიანცის სახელზე, მიღებული ყაზახიდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 3197 3—2

დაიკარგა სახელმწ. უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგის მატრიკული წიგნაკი № 62 არტემ ჩოჩუას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3196 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 500 მიღებული ჩხარის კომისარისგან ისაკ სოლომონის ძე პიპინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3208 3—2

დაიკარგა ატესტატი ოთხი კლასის დამთავრების № 120, მიღებული ვანის (ქუთ. მაზ.) უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლიდან და მეტრიკული ამოწერილობა საბეჟის ღვთისმშობლის ეკლესიიდან ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გიორგაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვლება. 3202 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მნაცაკან არუთინის ძე ყაზარიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვლება. 3207 3—2

დაიკარგა ატესტატი ტფ. 1 ვაჟთა გიმნაზიის კურს დამთავრების 1915 წ. ალექსი უსტიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3188 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა. მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეტრიკა იოსებ აბრამის ძე დუდაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვლება. 3201 3—2

დაიკარგა პასპორტი № 809, თადეოზ ივანეს ძე კაზმარაროვის სახელზე, მიღებული ახალციხის მდაბიო მოქალაქეთა სამართველოდან 1907 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 3191 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 514, ლევან პანტელის ძე ლომიძის სახელზე, მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვლება. 3204 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა ირაკლი ლევანის ძე ზაალიშვილის სახელზე, მიღებული სახალხო გვარდიის ცხენოსანთა პოლკიდან და ორი თვის შვებულების მოწმობა, მიღებული 1 ცხენოსანთა პოლკიდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 3205 3—2

დაიკარგა ანდერძის ასლი რომელიც 2 მარტს, 1905 წელს, რეესტრის № 1226, შედგენილი იყო ნიკოლოზ არდჟევანიძის კარსანოვის სახელზე ტფილისის ნოტარიუს გრიგორიევის მიერ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3181 3—3

რწმუნება მიცემული ტიგრან თადოვარის ძე ხაჩატუროვის მიერ სერგო თადეოსის ძე ხაჩატუროვზე და დამტკიცებული ტფ. ნოტარიუს მიტკევიჩის მიერ რეესტრით № 5040 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3198 3—2

დაიკარგა პასპორტი ტიგრან მიხეილის ძე ავაკიანცის სახელზე, მიღებული ბაქოში. გაუქმებულად ჩაითვლება. 3199 3—2

დაიკარგა სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მოწმობა 74 სტავროპოლის პოლკიდან თეოფილე სოლომონის ძე მიქიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3171 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ბაქოს პოლიცმეისტრისაგან და სამი ატესტაცია ალექსანდრე დავითის ძე კაცლაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3264 3—1

დაიკარგა მოწმობა აგრონომები ხ. და ა. ჯინანიანცის და ს. ბარსაგიანცის სახელზე, მიღებული საგარეჯოს თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3265 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ გიორგის ძე რობაქიძის სახელზე, სენაკის კომისრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3267 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა № 111, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით ივანეს ძე დემეტრაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3268 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1852 პელაგია გიორგი ნაცვალოვის ასული შმიკინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3253 3—1

დაიკარგა პასპორტი № 160997 გიორგი გრიგორის ძე აბრამოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3259 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი, მიღებული ცხინვალის კომისრისაგან, მეტრიკული, მოწმობა და საბარგო კვიტანცია შაულ დავითის დედიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 8254 3—1

დაიკარგა პასპორტი სოფიო ნიკოლოზის ასული სილინას სახელზე, მიღებული განჯის ქალაქის პოლიციიდან 1912 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3263 3—1

დაიკარგა პასპორტი ვლადიმერ ივანეს ძე კიკულის სახელზე, მიღებული ბათომის საოლქო მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3047 3—1

დაიკარგა პასპორტი ლუი პერროს სახელზე მიღებული საფრანგეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3248 3—1

დაიკარგა პასპორტი გრიგორი ოვანესის ძე მირზოიანცის სახელზე, მიღებული განჯაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3252 3—1

დაკარგულია მორიგ გაწვევის უწყება № 50 მიცემული მე 10 კომისარიატიდან 30 მარტს 1920 წ, ვლადიმერ ანდრიას ძის პოლიაკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3269 3—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 24 სექტემბერს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 21 აპრილს 15 ოქტ. 1920 წ. ვეთერე საკის ძე ვეთერქოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნეს. 3256 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 31 აგვისტოს 1920 წ. 17 სექტემბ. საქმე გარდაცვალ. 11/24 სექტემბ. 1919 წ. ირინე იაკობის ასულ ონიკინისას შინაურ ანდერძ. დამტკიცების შესახებ: დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნეს. 2851 1—1

ქ. ტფილისის მე 12 და 13 სამომრიგებლო უბ. სასამართლოს ბოქაული გავსოვიჩი აცხადებს რომ 29 ოქტომბერს 1920 წ. დილის 10 საათზე მეცხრე უბანში ტურგენევის ქუჩაზე № 4 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებული სტანისლავ ტრეტრეევინსკის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს წაღებს, ტანისამოსს და სხვა ნივთებს მიხეილ გლუხოვსკის და მიხეილ ბრუნბერგის 28418 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად. 3266 1—1

ახალციხის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული ა. ხაჩატუროვი აცხადებს, რომ 1920 წ. ნოემბრის 15, ახალციხის სამომრიგებლო უბნის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გასაყიდად ახალციხის მოქალაქე ხაჩატურ კარაპეტის ძე ყასაბაშევის უძრავი ქონებისა, რომელიც მდებარეობს ახალციხის მაზრაში დ აბასთუმანში და წარმოადგენს ერთ ნაჭერ მიწას, აღნიშნულ № 14, ქონება დაწინდებულია და დანიშნულია გასაყიდად მარტიროს კარაპეტის ძე ვანციანცის ვალის გასასტუმრებლად, ჯამით 11,000 მან. შეფასებულია 9000 მან. და ამ ჯამიდან დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილემ უნდა წამოაყენოს გირაო 900 მან. აღწერილობისა და მიწერ-მოწერის მიღება ამ საქმეზე შეიძლება სასამართლოს ბოქაულთან საქმე დღეებში. 3066 1—1

ახალციხის სამომრიგებლო უბნის ბოქაული ხაჩატუროვი, ამით აცხადებს, რომ 15 ნოემბერს, 1920 წ., ახალციხის სამომრიგებლო უბნის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გასაყიდათ უკვე გარდაცვლილ ახალციხის მოქალაქის არუთინ ალაბაბის ძე კიურკჩიბაშევის უძრავი ქონებაზე., რომელიც მდებარეობს ქ. ახალციხის ახალნაწილში და წარმოადგენს უფლებას აზიური აბანოს ნახევარ ნაწილზე; იგი დანიშნულია გასაყიდათ ახალციხის მოქალაქე სარქის არუთინისძე კურკჩიბაშევის ვალის გასასტუმრებლათ, ჯამით 11,002 მან. და %% გირაოს სიგელით, რომლის უზრუნველ-საყოფადაც არის ყადაღა დადებული ქონებაზე. შეფასებულია 9,000 მან. და ამ ჯამიდან დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა 900 მან. წარმოდგენა. 3067 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ შაჰბაზიანი